ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 45 ნიუ-ირკი. სექტემბერი 1961 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, SEPTEMBER 1961

ნიუ-იორკი. სექტემბერი 1961 წ.

„ჩვენ ვმოქმედობთ მსოფლიოში კომუნიზმის გასამარჯვებლად. მაგრამ ეს არ შეიცავს ომს. არავის არ ვემუქრებით და არ ვაშინებთ. ვცდილობთ ყველაფერი მშვიდობიანათ და უომრათ მოვაგვაროთ. კომუნიზმის მტრები ამბობენ, რომ ხრუშჩოვი თავის საპროპაგანდო განცხადებებით ამტკიცებს თითქოს კომუნიზმი გაიმარჯვებსო. მარტო პროპაგანდა არ არის მიზეზი ჩვენი გამარჯვებისა, არამედ ჩვენი ღრმა რწმენა, რომ კაცობრიობის განვითარება სწორედ ამ მიმართულებით ხდება".

ასეთი იყო ხრუშჩოვის განცხადება 1961 წლის აპრილში. ხოლო სულ მცირე ხნის შემდეგ, ხრუშჩოვი კაცობრიობას განადგურებით ემუქრება, თუ კი მისი კომუნიზმის გამარჯვების გზას და გამარჯვების რუსულ მეთოდებს ვინმე წინ გადაეღობა. კერძოთ დიდი ბრიტანეთის ელჩს ნორმალური ტონით და აუღელვებლათ უცხადებს: „თუ ევროპიული თავდაცვის ორგანიზაციამ ერთი დივიზიით მაინც გაზარდა თავისი შეიარაღებული ძალები, საბჭოთა კავშირი ას ახალ დივიზიას გამოიყვანს. მთელი დასავლეთ ევროპა რუსეთის წყალობის ქვეშ არის და როგორც რუსეთი მოისურვებს ისე უნდა მოიქცეს. „ექვსი ჰიდროგენის ყუმბარა საკმარისია ბრიტანეთის კუნძულის აღსაგველად, ხოლო ცხრა—უდაბნოთ აქცევს საფრანგეთსა"-ო.

ცხადია, ხრუშჩოვის ენით ეს არც მუქარაა და არც დაშინება! ეს მხოლოთ „ლამაზი" სიტყვებია, რომლის მიზანიც დასავლეთის მოსახლეობის ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ დაყენებაა. უკანასკნელ ხანებში კრემლმა მაღალი ხელოვნებით გამოიყენა ერთი ახალი იარაღი—ეს არის პანიკა. როდესაც საკითხი შეეხო ბერლინს, აქ კრემლმა დიდი ოსტატობა გამოიჩინა, რათა პროპაგანდული თავდასხმებით და მოსალოდნელი ომის მრისხანებით პანიკა გამოეწვია დასავლეთში (თუ ომი მოხდა პირველ დღესვე ორასი მილიონი ადამიანი მოკვდებაო, განაცხადა ხრუშჩოვმა. შიშით დამფრთხალმა გონებამ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს, რომ ატომური ბრძოლისათვის სრულიად მოუმზადებელ იაპონურ ორ დიდ ქალაქში მხოლოდ ორიოდ ათეული ათასი მსხვერპლი იყო) და იაფ ფასიანი პროპაგანდით, იაფად მიეღწია მიზნისათვის. მთავარი მისი მიზანი იყო და არის ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ დაყენებული დასავლეთი გაექცია ბერლინიდან და უბრძოლველად ჩაეგდო ხელში ანტიკომუნისტური ძალების ავანპოსტი.

მეორე მისი მიზანია ამ გვარ მარცხით პრესტიჟ დაკარგულ და „ექვსი და ცხრა ყუმბარით ინგლისის და საფრანგეთის მოსპობის პროპაგანდით დაშინებულ ქვეყნებში ნდობა დაეკარგა დასავლეთის თავდაცვის ორგანიზაციისათვის და მის რიგებში რღვევა შეეტანა. მაგრამ ხრუშჩოვის ამ მუქარას და ფსიქოლოგიურ თავდასხმას დასავლეთი სრულიად გულცივათ შეხვდა. საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით „ახალი ომი კომუნიზმის სრული განადგურება და მისგან დაპყრობილი ერების სრული განთავისუფლება იქნება". აქედან გამომდინარეობს დასავლეთის ტაქტიკა და არავინ ფიქრობს, რომ ხრუშჩოვი იმის დაკარგვის რისკზე წავა, რაც უკვე ხელთა აქვს. თუმცა ისტორიაში ტოტალიტალური იმპერიების მარცხის მთავარი მიზეზი ყოველთვის დიქტატორის ანგარიშის და ნერვების დაკარგვა იყო და არავის არ შეუძლიან დაამტკიცოს, რომ ამ ჟამად მიღწევებით და მდგომარეობით დამთვრალი „დონბასელი მუშა" სწორედ ამ ფაზაში არ არის. მრავალი ნიშნებია ამის და მრავალი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხრუშჩოვი ზომიერების და გონიერების საზღვარს გადასცდა

ერთი რამ ცხადია: დასავლეთს სხვა გზა და სხვა საშუალება არა აქვს, თუ არა ბრძოლის და წინააღმდეგობის. სხვანაირი მოქმედება იქნება თავის თავის უარყოფა და რუსეთის წინაშე სრული კაპიტულაცია, მთელი თავისი მრისხანე შედეგებით. ბერლინიდან დახევა მთელი დასავლეთ გერმანიის დაკარგვაა და უფრო დიდი „მიუნხენი". ეს კი ნიშნავს, რომ თუ პირველ „მიუნხენში" დასავლეთმა დაკარგა „პატარა ჩეხოსლოვაკია", მეორე მიუნხენში" უნდა დაიკარგოს დასავლეთის აულებელი ბასტიონი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს რუსეთის იმპერიალისტურ მადას და მას მხოლოდ ახალ-ახალი მიღწევებისათვის წააქეზებს. ამის საბოლოო შედეგი კი შეიარაღებული კონფლიქტი იქნება, რადგან არც დასავლეთს და არც კერძოდ ამერიკას არავითარი სურვილი არა აქვს თვითმკვლელობის და არც საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემაზე აპირებს ხელის აღებას.

თუმცა ყოველი ეპოქისათვის ომი მრისხანე და გამანადგურებელი იყო, მაგრამ ეჭვი არ არის ატომურ ეპოქაში ის უფრო მრისხანე იქნება. ამიტომ მას ყველაერიდება და დასავლეთი ცდილობს ერების და მოქალაქის თავისუფლების პრინციპის დაცვით და პატივისცემით მომავალი ომის მრისხანება თავიდან აიცდინოს კაცობრიობას.

ასეთივეა კრემლის პროპაგანდისტული პოზიცია, მაგრამ ერთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ცვლილებით; ხრუშჩოვის მტკიცებით ომი არც მასა სურს, (ომის მოტრფიალე არც სტალინი იყო, არც მუსოლინი და არც ჰიტლერი!!) მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ დასავლეთი გახდეს უფრო „რეალურად მოაზროვნე" და მოვლენების სწორი დამფასებელი. ამისდა მიხედვით დასავლეთმა უნდა აღიაროს, რომ მას არ ძალუძს რუსეთის ძლიერებას წინააღმდეგობა გაუწიოს—ამ შემთხვევაში ბერლინში მაინც და ხრუშჩოვის დიქტატი მიიღოს და შეასრულოს.

პროკომუნისტულ წრეებთან ერთად, არც მეამიტი მეთვალყურეები იშურებენ ენერგიას და ამტკიცებენ, რომ რუსეთის დაუსრულებელი ცოცხალი ძალის მარაგი, რომელიც უკვე ბირთვული ტყორცნის იარაღს დაეუფლა, წინააღმდეგობის ყოველგვარ შესაძლებლობას სპობს და დასავლეთს ერთად-ერთი გზა ღა დარჩენია—გზა რუსეთთან „მეგობრული" და ზავების და მორიგებისო.

თავისუფალი დასავლეთის ისტორია ხრუშჩოვის მსგავსად „გუშინ" დაწყებულიყო—უმეცრებთან ერთად შეიძლება ჩვენც გვეფიქრა, რომ ხრუშჩოვის ყვირილსა და მუქარას და დასავლეთის ლიდერების დინჯ, დარბაისლურ კილოში პირველის ძლიერების გამომჟღავნება იხატება, ხოლო მეორის მოკრძალება მოპირდაპირის ძალით და საკუთარი სისუსტით გამოწვეული.

მაგრამ ჩვენ ვიცით ისტორია და ჯერ კიდევ ცოცხლად გვახსოვს მეორე მსოფლიო ომის წინამდებარე მომენტები და მისი გაკვეთილები.

ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთის დემოკრატია ომზე მიდის არა იმისათვის ხელსაყრელ პირობებში, არამედ დამხოლოდ, როდესაც ომი აუცილებელია ადამიანის და ერის მაღალი ღირსებების დასაცავად.

დანციგის და მისი კორიდორისათვის ომი დღეს, თითქმის ყოველადამიანს სისულელეთ ეჩვენება, მაგრამ დასავლეთმა დანციგისათვის მაინც იომა და ომი მოიგო. იმ პერიოდში დასავლეთისათვის დანციგი თავისუფლების სიმბოლოთ გადაიქცა, რომლის იქითაც დემოკრატიულმა სამყარომ ტოტალიტალურ ჭირვეულობას აღარ დაუთმო. ამ შემთხვევაშიც დასავლეთ ბერლინიც გადაიქცა სწორედ იმ სიმბოლოდ, რომლის იქითაც დემოკრატიული სამყაროს მოთმინება აღარ მიდის.

კრემლის ბატონებისათვის ძნელი წარმოსადგენია, რომ დასავლეთი ბერლინისათვის იომებს, როდესაც მან თითქმის არაფერი მოიმოქმედა 1948 წელს „ბერლინის ბლოკადის" გამო. სწორედ მაშინ, როცა ატომური ყუმბარა მხოლოდ დასავლეთის განკარგულებაში იყო. ამავე დროს ხრუშჩოვისათვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ამერიკა დამთლათ დასავლეთი იბრძოლებს და სისხლს დაღვრის ორი მილიონი ბერლინელი მოსახლეობის თავისუფლებისათვის, რამაც მოსალოდნელია უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ცხადია ხრუშჩოვისათვის ეს წარმოუდგენელია, რადგან მისთვის უცხოა ადამიანის თავისუფლების პრინციპი და აღიბული მოვალეობის მაღალი შეგნება. ამიტომ არის, რომ ხრუშჩოვი დასავლეთელებს არა რეალისტებათ და გონება დაკარგულებათ სთვლის.

ხრუშჩოვისათვის წარმოუდგენელია, რომ „უხერხემალო დემოკრატია" გარკვეულ ნებისყოფას და სიმტკიცეს იჩენს. ის ვერ ჩასწვდა საკითხის სირთულეს და სიღრმეს. დიქტატორის პატივმოყვარე ბუნებისათვის ძნელი გასაგებია, რომ სწორედ ბერლინში გაინასკვა დასავლეთური თავისუფლების და რუსული მონობის პრინციპების კვანძი და დღევანდელი „კრიზისით" თუ მომავალი კრიზისებით—იქავე უნდა გაიხსნას.

ამ დაპირდაპირებაში დასავლეთის მხარეზეა მთელი თავისუფლებისათვის მებრძოლი სამყარო, და მათში, უპირველეს ყოვლისა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების სულიერ ზნეობრივი ძალა.

ორი მილიონი ბერლინელი მოსახლეობის თავისუფლების დაცვას უკიდურესი დაძაბულობით ადევნებს თვალს ას მილიონზე მეტი რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიების მოსახლეობა. აქ ღრმათ არის ჩაქსოვილი ჩვენი ერის მომავალიც, რომელიც ორმოცი წელიწადი განიცდის რუსული კომუნიზმის მძიმე ოკუპაციას.

ბერლინის კრიზისის გახსნა, თავისუფლების და მონობის პრინციპების ჯახის საბოლოო გადაწყვეტა იქნება.

დაპყრობილ ერთა კვირა.

ამ წელს დაპყრობილ ერთა კვირას განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდა, როგორც ამერიკელი ხალხი, ისე მისი სახელმწიფოებრივ პოლიტიკური ორგანზაციები. ამას წინ ისწრებდა პრეზიდენტ კენედის სპეციალური მოწოდება, რათა ამერიკელ ხალხს მასიურათ მიეღოთ მონაწილეობა და ამით გამოემჟღავნებინათ თავიანთი სიმპატია და თანაგრძნობა რუსეთის მიერ ტყვეთ ქმნილ ერების მიმართ.

კერძოთ ნიუ-იორკში დაპყრობილ ერთა კვირის მეთაურობა იკისრა ქალაქის თავმა ვაგნერმა.

კვირას, ივლისის 16-ს, დილის 10 ს. წმინდა პეტრეს კათედრალში, კარდინალ სპელმანის თანადასწრებით გადახდილ იქმნა განსაკუთრებული წირვა.

დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები წარდგენილ იქმნენ საკუთარი ეროვნული დროშებით, სადაც მაღლა და თავმომწონეთ ფრიალებდა რუსული (ამ შემთხვევაში კომუნისტური) აგრესიის პირველი მსხვერპლთაგანი ქართული სამფეროვანი დროშაც.

ორშაბათს, ივლისის 17-ს, დღის 12-ს. დაპყრობილ ერთა წარმომადგენლებმა, ასევე ეროვნული დროშების ფრიალით, თავი მოიყარეს ქალაქის თვითმმართველობს სასახლს წინ სადაც ქალაქის თავი იმედიანი სიტყვით მიესალმა მათ. ამ ცერემონიას წინ უსწრებდა დაპყრობილ ერების წარმომადგენლების მანიფესტი, სადაც ნათქვამია:

„ქვემო ხელის მომწერი ორგანიზაციები, დაპყრობილ ერთა თავისუფლებია აღდგინას მიძღვნილნი, საზოგადოების ყურადღებას მოუწოდებს კანონისაკენ 86-90, რომელიც ერთხმათ იყო მიღებული შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1959 წ. და რომლის ძალით ყოველი წლის ივლისის მესამე კვირა გამოცხადებულია „დაპყრობილ ერთა კვირად"

რკინისა და ბამბუკის ფარდის იქით ყველა დაპყრობილი ერები—თვით რუსებისა და ჩინელების ჩათვლით-დიდი ხნიდან არიან კომუნისტური ტირანიისაგან დამონებულნი. არა რუს ერების დაპყრობაზე იყო დაშენებული თვით მეფის რუსეთის იმპერიაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოეთმა თავისი ახალი კოლონიალური იმპერია განავრცო აღმოსავლეთ ევროპაზე. მიუხედავათ ხელშეკრულება-შეთანხმებების ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ერებმა დაკარგეს თავისი დამოუკიდებლობა, ხოლო თვით საბჭოთა კავშირის არა რუს ერების მიმართ გააყალბეს შეპირება, რომ ისინი მიიღებდნენ თვითგამორკვევის უფლებას. ყველამ დაკარგა ადამიანური თავისუფლების საფუძველი: თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება რწმენის, თავისუფლება თავმოყრის და თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი—ძალადობისაგან განთავისუფლება.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილ ერებს არასოდეს არ შეუჩერებიათ თავისუფლებისათვის ბრძოლა: ხან აშკარა მოქმედებით, შესაფერის დროს, ხან კი იდუმალი საქმიანობით. თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი გულის გატეხამაც კი—გამოწვეული უნგრეთის აჯანყებაში ჩაურევლობით—ვერ წაართვა დაპყრობილ ერებს ბრძოლის სურვილი და შეურიგებლობას განაგრძობენ. ცხადია ამ ქვეყნებში ბრძოლის სული და გამძლეობა დამოკიდებულია იმაზე თუ თავისუფალი სამყარო რამდენათ გაბედულად უპასუხებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ, ან სამხედრო მუქარას.

ატლანტიის ქარტია, ზავის ტრაქტატები, ან სხვა ხელშეკრულებები, ხელმოწერილნი საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების მიერ, დაპყრობილ ერებს პირდებოდნენ თავისუფლებას. მაშასადამე ამ ქვეყანას არა მარტო ზნეობრივი უფლება აქვს იმოქმედოს ყველა საშუალებით ამ ერების განთავისუფლებისათვის, არამედ ეს შეერთებული შტატების კანონიერი მოვალეობაა. ამას გარდა დაჩაგრული ერების ბრძოლის ხელის შეწყობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესს შეერთებული შტატებისათვის. რადგანაც თუ დაპყრობილი ერების პასიური წინააღმდეგობა ხელს უშლის საბჭოთა კავშირის აგრესიას, ომის შემთხვევაში ეს წინააღმდეგობა გადაიქცევა საბჭოთა კავშირის სამხედრო კომუნიკაციის დამანგრეველ ძალად.

არ არსებობს საშუალება დაჭიმული მდგომარეობის დასაუმჯობესებლად, არც იმედი სწორი და ხანგრძლივი ზავის, ვიდრე ევროპა გაყოფილია თავისუფალ და დამონებულ ნაწილებად.

ამას გარდა, და მეტადრე, როცა საბჭოთა კავშირი ცდილობს დასავლეთის წინააღმდეგ გამოიყენოს აზიის და აფრიკის ყოფილი კოლონიალური ქვეყნების ბუნებრივი მისწრაფებები—საჭიროა მსოფლიომ იცოდეს თუ რას წარმოადგენს, თავისი ულმობელი სიმკაცრით ჯერ ისტორიაში არ ნახული—საბჭოთა კავშირის კოლონიალიზმი. საბჭოეთმა მოათავსა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი თავისუფალი ერები თავის იმპერიალისტურ სისტემაში, რათა კომუნისტური მილიტარიზმის მანქანას ახალი გასაქანი მიეცეს.

მხოლოდ დაპყრობილ ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლის მეთაურობა მისცემს დასავლეთს ძალას დაიმკვიდროს დიპლომატიური და ზნეობრივი გამარჯვება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დასავლეთმა ადვილათ მოიგერიოს საბჭოეთის სტრატეგიული ექსპანსია, პოლიტიკურ სამხედრო მუქარა და დაწოლა და აიცდინოს ბირთვული ომის საშიშროება.

ჩვენ, ჩვენს მოვალეობათ ვთვლით ხმა ამოვიღოთ და ქვეყნიერებას გავაცნოთ დაპყრობილ ერთა სულისკვეთება. ამიტომ:

ჩვენ ბრალსა ვდებთ საბჭოეთს ცხრა დაპყრობილი ერისადმი თავისუფლების და დამოუკიდებლობის პირობის გაყალბებაში. რომლებიც არიან: ალბანია, ბულგარია, ჩეხოსლოვაკია, ესტონია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და რუმინია.

ჩვენ საბჭოეთს ბრალსა ვდებთ, რომ საბჭოთა კავშირის არა რუს ერებს ძალით წაართვა დამოუკიდებელი სახელმწიფოები და გააუქმა თვით გამორკვევის უფლება. მაგ., როგორც უკრაინის, საქართველოსი, სასომხეთის და სხ.

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა კავშირმა გამოიყვანოს თავისი ჯარები და მოხელეები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილ სახელმწიფოებრიდან, დაწყებული უნ-

საბჭოთა საქართველოს მიღწევების გამო.

ხშირად გვესმის ერთი და იგივე სიტყვები: 1921 წლის, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის დღიდან დღევანდლამდე, ქართველმა ერმა უდიდესი ეკონომიური აღმავლობა განიცადაო. ეს არის საბჭოთა მოქალაქეებთან საუბრის თემა. ამას ემსახურება საბჭოთა საქართველოს პრესა და ყოველი სახის საპროპაგანდო ორგანო.

ამ ფაქტის უარყოფა არვის ძალუძს და ჩვენც ვაღიარებთ, რომ ცხოვრება ერთ წერტილზე არ შეჩერებულა და მას ამა თუ იმ სახის პროგრესი ეტყობა. მაგრამ არც იმ ფაქტის უარყოფა შეიძლება, რომ ყოველ გაუმჯობესებას თან სდევდა ხალხის მასიური ჟლეტა, გადასახლება და მათი უფლებრივი შევიწროვება. საბჭოეთში, და კერძოთ საქართველოში, ყოველი პროგრესი ხდებოდა და ხდება პიროვნული თავისუფლების და მოქალაქის ყოველდღიური მოთხოვნილების ხარჯზე. მაგრამ ამაზე ვრცლად შეჩერება ჩვენი დღევანდელი თემის საგანი არ არის.

ამ წერილის მიზანია გამოვარკვიოთ, რა ხასიათის იქნებოდა მიღწევები საქართველოში, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა გაუხანგრძლივდებოდა და რუსული საოკუპაციო ძალა საქართველოს თავისუფალ ინიციატივაზე დაფუძნებულ მეურნეობას სახელმწიფო დაგეგმის პრინციპს არ დაუმორჩილებდა?

ცხადია, ამ საკითხზე თეორიული მსჯელობა არავითარ დასკვნამდე არ მიგვიყვანს და ორივე პრინციპის დამცველები საკმაო არგუმენტებს იპოვიან, რომ მათგან მოწონებული სამეურნეო პრინციპი დაიცვას და გაამართლოს. ეს თეორიული მსჯელობით ადვილი მოსახერხებელია.

მიუხედავათ მთელი კულტურული კაცობრიობის მიერ აღიარებისა, რომ კერძო ინიციატივა იძლევა შესაძლებლობას რათა ადამიანმა მაქსიმალურად გამოამჟღავნოს თავისი შემოქმედებითი უნარი, მაინც—ვიმეორებთ, თეორიული მსჯელობით იმის გადაწყვეტა, თუ როგორი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს კერძო ინიციატივაზე დაშენებული მეურნეობის მიღწევები, დღევანდელთან შედარებით, მეტი თუ ნაკლები, მეტად ძნელია და რთული.

ამისათვის საჭიროა კონკრეტული მაგალითები და შედარება, თუ რა მიღწევები აქვთ სახელმწიფო დაგეგმის და თავისუფალ ინიციატივაზე დაშენებულ ქვეყნებს, რომლებიც მცირედის განსხვავებით ერთ ბედში ცხოვრობენ.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას აზიური ქვეყნები იძლევიან, სადაც სახელმწიფო დაგეგმის და თავისუფალი ინიციატივის პრინციპები ერთი-მეორეს ეჯახებიან.

ერთის მხრივ იაპონია, მალაია, ტაილანდი და ჰონგ-კონგის სწრაფი და უდიდესი მიღწევები და ცხოვრების დონის ამაღლება, მერე მხრივ კი ინდოეთი, ინდონეზია და ბირმა, რომლებმაც დღევანდლამდე ვერ მოახერხეს თავიანთი თავი გამოეყოთ გაღატაკებული ქვეყნების კატეგორიიდან.

ზემოხსენებული პირველი კატეგორიის ქვეყნები მისდევენ თავისუფალ წარმოებას, მეორე ჯგუფი კი დაგეგმილ ეკონომიკას და მთავარი წარმოებები, ან მთავრობის ხელშია, ან მისი მკაცრი კონტროლის ქვეშ.

საერთოდ აღიარებულია, რომ ბუნებრივი სიმდიდრეები სწყვეტავენ ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საკითხს. ეჭვს გარეშეა მისი უდიდესი გავლენა ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებაზე. მაგრამ მაინც შეუძლებელია მარტო ამით აიხსნას მალაიას სწრაფი ეკონომიური აღმავლობა და ინდოეთის, ან ინდონეზიის ჩამორჩენილობა. მალაიას და ინდონეზიას ერთი და იგივე სიმდიდრეები აქვთ: კაუჩუკი, კალა და ნავთი. ორივეს ნაყოფიერი მიწა და თანაბარი ატმოსფერული პირობები. მაშ რატომ ხდება, რომ მალაიას კაუჩუკის წარმოება და მისი ექსპორტი იზრდება, ხოლო ინდონეზიისა რეგრესს განიცდის? რა არის მიზეზი, რომ მალაიას ფული თავისუფლად ხურდავდება მსოფლიო ბაზარზე, ხოლო ინდონეზიის ოფიციალური ღირებულების მხოლოდ ერთი მეოთხედია? რატომ ხდება, რომ მალაია იზიდავს უცხოელების დახმარებას, ხოლო ინდონეზია არა? შეიძლება ის იყოს იმიტომ, რომ მალაია აწარმოებს თავისუფალ ვაჭრობას, და უფლებას აძლევს ვაჭრობაში თავისუფალ ინიციატივას, როდესაც ინდონეზია ნაციონალიზაციას უკეთებს ინდუსტრიას, კონტროლის ქვეშ აყენებს ყოველნაირ საზოგადოებას და ადგენს ოთხ, ან რვა წლიან გეგმებს, რომლებსაც ვერ მიუძღვება-ვერ ანხორციელებს? მათ განსხვავებაში შეიძლება სხვა მიზეზებიც იყოს მაგრამ ამ ჟამად ისე ძლიერ არა მჟღავნდება, როგორც ის მოსჩანს ამ ორი სახელმწიფოს ეკონომიურ პროგრამაში. ინდონეზია სოციალისტური სახელმწიფოა, მალაია კი თავისუფალი წარმოების ქვეყანაა. ამ გვარი განსხვავება არსებობს ტაილანდ და ბირმას შორისაც. მაგრამ თუ იაპონიას და ინდოეთს შევადარებთ ეს განსხვავება უფრო ნათელი იქნება. თუ ბუნებრივი სიმდიდრე არ არსებობს ქვეყანას უფრო მეტად უნდა ფლობდეს სიღარიბე. ამის და მიხედვით თავისუფალ წარმოების იაპონია მსოფლიოში ყველაზე ღარიბი ქვეყანა უნდა იყოს მას არა აქვს არც რკინა, არც ნახშირი, არც ნავთი, არც გაზი და საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ ნედლ მასალას, რომელიც თანამედროვე წარმოების გადაუდებელი სახმარებელია. იაპონიის ქარხნების ერთ მესამედზე მეტი მეორე მსოფლიო ომმა გაანადგურა, მაგრამ თუ დღევანდელ ტოკიოს, ოსაკას და ნაგასაკს გადავხედავთ ვნახავთ, რომ ქუჩები სავსეა ავტომობილებით და კარგად ჩაცმული ხალხით. აუარებელი აღმშენებლობა, სავსე მაღაზიები.... იაპონური საქონელი მთელ ქვეყნიერებაზეა მოდებული და ყველა შიშით უყურებს იაპონური საზოგადოებების მსოფლიო ბაზარზე გაძლიერებას. წარსულ ათი წლის განმავლობაში იაპონიის სახელმწიფო შემოსავალი, ე. ი. ეროვნული დოვლათი გაორკეცდა და ისე მოსჩანს, თითქოს მომავალ ათი წლის დამლევს კვლავ გაორკეცდება. ამავე ხნის განმავლობაში ინდოეთი—მისი ცენტრალური დაგეგმილობის გამო, გაიზარდა მხოლოდ, იაპონიასთან შედარებით, ერთი მესამედით და თვით მთავრობის განცხადების მიხედვით ხალხი კვლავ დამშეული, ჩაუცმელი, გაუნათლებელი და დასნეულებულია, ინდოეთის შემოსავალი მთელ მსოფლიოში ყველაზე დაბალთა შორის ითვლება. ინდოეთი ბევრჯერ უფრო მდიდარია ბუნებრივი წყაროებით, ვიდრე იაპონია. ეს იყო მართალი ათი წლის წინ და ოცდა ათი წლის წინაც. სამაგიეროთ ერთი საუკუნის წინ ინდოეთი უფრო წინ იდგა, რამდენათაც მას მაშინ მოდერნული ვაჭრობის და მიმოსვლის ბაზა ქონდა დაის იყო დასავლეთის გავლენის ქვეშ. იმ დროს იაპონია მთლიანად უარყოფდა ინდუსტრიალურ ცივილიზაციას და ჩაფლული იყო ფეოდალიზმში. მაგრამ ამ დღიდან იაპონიამ არამც თუ გადაასწრო ინდოეთს, არამედ ბევრ სხვა აზიურ ქვეყნებსაც და ეს შედეგია მისი შემოქმედი ხალხის ინიციატივის და ერს შრომის უნარიანობის, რომლის მაქსიმალური გამომჟღავნების შესაძლებლობას მხოლოდ თავისუფალი ინიციატივა იძლევა.

ეს მოკლე და მარტივი მიმოხილვაც ნათლად ამჟღავნებს თავისუფალი ინიციატივის უპირატესობას და ამგვარ პრინციპზე აგებულ ეკონომიკის სწრაფი ზრდის აუცილებლობას.

ამ მხრით საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ბუნებრივი სიმდიდრეები: მარგანეცს, შავი ქვის, ნახშირის და ნავთის დაუშრეტელი მარაგი, ატმოსფერული პირობების წყალობით მიღებული ციტრუსები, ჩაი, ვაზი და ხილნარი თავისუფალ შემოქმედების პრინციპზე დაშენებულ სახელმწიფო მეურნეობას ააყვავებდა და საქართველოს უძლიერეს ეკონომიურ ქვეყნად აქცევდა.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ქართული ბუნება შეიცავს კრიტიკის უნარს, რაც თავისუფალ ცხოვრებაში ქმნის აზროვნების პროგრესს და შესაძლებლობას რათა პრაქტი-

დაპყრობილ ერთა კვირა.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

გრეთით, თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თორმეტის მიერ მიღებული რეზოლუციის. ი

ჩვენ მივმართავთ თავისუფალი ერების მთავრობებს, რათა საჩქაროთ გააბათილონ ევროპაში მეორე ომის ყველა სამწუხარო შედეგები, აღადგინონ თვითგამორკვევის უფლება და მოხდეს თავისუფალი არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციის გარანტიით და კონტროლით. ეს პირობა უნდა წინ უსწრებდეს საბჭოეთთან განიარაღების, თუ თავდაცვით ყოველგვარ შეთანხმებებს.

ჩვენ მოვითხოვთ თავისუფალი სამყაროს მთავრობებისგან, რომ მათ მხარი დაუჭირონ კომუნისტურ იმპერიაში ჩამწყვდეულ ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, თანახმად ატლანტური ქარტიის პრინციპებისა, რომელსაც აგრეთვე ითვალისწინებს ადამიანურ უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და კოლონიალურ ქვეყნების და ერების განთავისუფლების დეკლარაცია, მიღებული გაერთიანებული ერების მიერ 1960 წლის ოქტომბრის 14-ს

ჩვენ მოუწოდებთ შეერთებული შტატების ხალხს, რათა დაპყრობილ ერთა კვირის განმავლობაში საჯაროთ გამოამჟღავნოს თანაგრძნობა იმ იდუმალი მოკავშირეებისადმი, რომლებიც ამ ჟამად საბჭოთა კავშირის მრისხანე მპყრობელობას განიცდის. ამერიკელ ერმა უნდა იკისროს თავისუფლებისთვის მებრძოლ ამ მნიშვნელოვან მოკავშირეების დახმარება, რომლებიც კომუნისტურ ტირანიასთან ბრძოლაში უკვე ჩაბმულნი არიან.

ხელს აწერენ:

მ. უ. იონას ბალკენას, თავმჯდომარე ცენტრალური დაალმოსავლეთ ევროპის ამერიკელთა ორგანიზაციის.

2. თომა ვიტე, დაპყრობილ ერთა კომიტეტის წევრი.
3. ქრისტეფორე ემმეტი, დაპყრობილ ერების ამერიკელ მეგობრების ორგანიზაციის თავმჯდომარე.
4. სტივენ ი. ირემა, საბჭოთა კავშირის არარუს ერების განთავისუფლების ამერიკული საბჭოს თავმჯდომარე.
5. ვალკოვაზ სიდჯიკაუსკარი, ევროპის დაპყრობილ ერების გაერთიანების თავმჯდომარე.

ბ-ნ ერ. რამიშვილის სიტყვა

წარმოთქმული 1924 წ. აჯანყების აღსანიშნავად ქართული სათვისტომოს გამგეობის მიერ მოწვეულ საგანგებო კრებაზე.

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო თანამემამულენო!

არსებობს დებულება, რომელიც ყოველი ერის ისტორიას მისი ბრძოლის ისტორიად სახავს. საკმარისია თვალი გადავავლოთ საქართველოს მრავალსაუკუნოვან თავგადასავალს, რათა შთაბეჭდილება შეგვექმნეს, თითქოს ეს დებულება განსაკუთრებით ჩვენი ერისათვის ყოფილიყოს გამოკვეთილი. მართლაც თითებზე ჩამოსათვლელია დღეს ისეთი ერები, რომლებსაც თავიანთ ასეთსავე ხანგრძლივ ცხოვრების გზაზე საქართველოს ოდენა წამება, ტანჯვა-ვაება, აოხრება-აწიოკება განეცადოთ, მისებრ უზომო სისხლი ეღვაროთ ყოველი რჯულის მტერ-ორგულებისაგან თავის დასაღწევ ბრძოლებში, მაგრამ მაინც დედამიწის პირიდან არ გამქრალიყვნენ, მათი ერთდროინდელი არსებობა არქეოლოგთა კვლევა-ძიების საგნათ არ გამხდარიყოს და ისე, როგორც ქართველ ერს, საარაკო ნებისყოფისა და უშრეტ გამძლეობის გამოჩენით, თავიანთი ფიზიკური არსებობა, ტერიტორია, ენა, კულტურა და საერთოდ ყველა ის მიუცილებელი ნიშნები, რომლებიც ერს აეროვნებენ, უკლებლად შეერჩინოთ და თანამედროვე ცივილიზებურ ეპოქამდე მოეტანოთ.

ჩვენი ერის ორათასწლოვან მანძილზე ურიცხვია მაგალითები, როცა მას უკიდურეს სასოწარკვეთის განცდებში, სასწორზე დაუდვია თავისი ყოფნა-არყოფნა; უთვალავია საბედისწერო თარიღები, როცა მოთმინებიდან გამოსულს, მას გაბედულად ხმალი უშიშვლია თავისი მჩაგვრელების შესამუსრავად. ხშირად მიღწევებით, ზოგჯერ მარცხითაც, მაგრამ ბეჯითი შეგნებით, რომ თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება, ბრძოლა კი მსხვერპლს მოითხოვს—ხანაც მძიმეს, უზომოს, მაგრამ აუცილებელს და, მითვე ერის მარადისობით გამართლებულს.

ჩვენი დღევანდელი აქ შეკრებაც მამულის ერთ-ერთ ასეთ თავდადების უმწუხრეს თარიღთაგანის მოგონებას ემსახურება, სხვა მრავალ მსგავსთაგან იმით განსხვავებულს, რომ მის შესახებ არა ისტორიიდან ამოგვიკითხავს, არამედ ბედმა, უკეთ უბედობამ, თვით ჩვენ, დღევანდელ უფროს თაობას გვარგუნა მწარე ხვედრი მისი მომსწრენი ვყოფილიყავით. ზოგნი უშუალო მონაწილენი, ზოგნი კი ახლო თუ შორეული მოწამენი და მრავალი ჩვენთაგანი პირადათაც დაზარალებული საკუთარ ოჯახის წევრების, თუ ახლობლების დაკარგვით. ამიტომაც, გასაგებია, რომ ყველაფერი ის ამძაფრებს ჩვენს განცდებს და ხშირად გვიძნელებს მომხდარის მიუდგომლად შეფასებასაც.

ოცდამეჩვიდმეტეჯერ ვიგონებთ დღის 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. ამ ხნის განმავლობაში არა ერთი თუ ორი ინფორმაცია მოგვისმენია სიტყვიერი თუ წერილობითი ყოველივე მომხდარის ირგვლივ და არა მგონია დასამატებელი რამ დარჩენილიყოს. მაგრამ, ვინაიდან ამ ეროვნულ დიდი გლოვის დღის აღნიშვნის ტრადიცია მის სიჩუმით ჩატარებას არ ურიგდება, ნება მიბოძეთ ზოგადი მიმოხილვის გაკეთებით აღვადგინო მეხსიერებაში მომხდარ ტრაღედიის შინაარსი, მისი გამომწვევი მიზეზები, მისი რაობა და შედეგები.

აგვისტოს ძირი თუ გასაღები საძებარი არ არის. ესაა რუსული პირწავარდნილი იმპერიალიზმი, რამაც ჯერ კიდევ პაწაწინა მოსკოვის სამთავროში იჩინა თავი და იქიდან დაწყებული, ზოგიერთ იძულებითი შეთანხმებებით. მაგრამ შეუჩერებელი ტემპით, საუკუნეთა განმავლობაში წინ მიექანებოდა და დღეს კი, ჩვენს ხანაში, ფსევდოკომუნისტურ აგრესიულ იდეებით გამძაფრებული—ამ ქვეყნის ძლიერთა მორიდებულად გამოთქმით. [illegible] დაუდევრობის წყალობით, ისეთ მწვერვალზე იქმნა აყვანილი, რომ ის მთელ მსოფლიოს წალეკვით ემუქრება.

გადავხედოთ ამ იმპერიალიზმის მზაკვრულ გამოსახვას კერძოდ ჩვენი ქვეყნის მიმართ

18-ტე საუკუნის მიწურულში სამხრეთიდან მუსულმანურ ქვეყნების მოწოლით შევიწროვებული ქართლ-კახეთის სამეფო, მის სახელმწიფოებრივ სუვერენობის ზოგიერთ შეკვეცის ფასით, მფარველობის საერთაშორისო ხელშეკრულებით უკავშირდება იმ დროს უკვე კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებამდე მოგორებულ რუსეთს. ამ აქტის მიზანშეწონილობისა თუ აუცილებლობის შეფასება ამ ჟამად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს, მით უფრო, რომ დღეს ამაზე მსჯელობა აკადემიურ ხასიათს არ სცილდება. აღვნიშნავ მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს, რომ რუსეთთან ურთიერთობას იმ დროსაც დიდი ოპოზიცია ჰყავდა წარჩინებულთა წრეში. სინამდვილემ მალე გაამართლა ამ ოპოზიციის რუსეთისადმი უნდობლობა. პირველი შემთხვევისთანავე აშკარა გახდა, რომ რუსეთი ამ ხელშეკრულებით ნაკისრებულ ვალდებულების შესრულებას, რაც მას ქართული ტერიტორიის დაცვაში სამხედრო დახმარებას აკისრებდა, სრულიად არა ფიქრობდა და მას მხოლოდ მზაკვრული ზრახვები ამოძრავებდა. რუსეთთან დაკავშირებით გაბრაზებული აღა-მაჰმად-ხანი ძლიერი სპარსული ჯარით, თფილისს უახლოვდება და ქართლ-კახეთის მეფეს არჩევანის წინაშე აყენებს: ან კავშირის გაწყვეტა, რომელ შემთხვევაში ის უკან გაბრუნებას აღუთქვამდა, ან ომი ყველა მისი შედეგებით. ადგილი ეძლევა ჩვენი დღევანდელი წარმოდგენისათვის საოცარ ამბავს: მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთი არღვევს ხელშეკრულებას და უარყოფს დახმარებას, მეფე მაინც ამ დარღვეულ კავშირს ერთგულობს და თავის იმედს საკუთარ მცირე ძალებზე ამყარებს. მტერი იმარჯვებს: აოხრებს და ძარცვავს ქვეყანას, გადასწვავს თვით დედა ქალაქს. მართლდება რუსეთის დაფარული მიზანი. ის სარგებლობს ქვეყნის დასუსტებით, ცალმხრივი დეკრეტით აბათილებს მთელ ხელშეკრულებას, სამეფოს თავის ჯარებით იპყრობს და თავის საკუთრებათ აცხადებს, ყველა იმ შემავიწროვებელი წესების თავზე მოხვევით, რომლებიც ყოველთვის და ყოველგან უცხო ოკუპაციის თანამგზავრია. კიდევ უარესი: რუსეთის იმპერატორი თავის გვირგვინს საქართველოს მეფის ტიტულით ამკობს. მთელი სამეფოს გაუქმებით და მის რუსულ ყაიდაზე გუბერნიებათ დაყოფით აკანონებს ისეთ ძალმომრეობას, როგორიც საქართველოს არც ერთ დამპყრობელს ამ დრომდე არც კი დასიზმრებია. ამის შემდეგ მთელი საქართველოს დაპყრობა და რუსეთის მიერ მიკუთვნება მხოლოდ დროს საკითხი იყო.

რასაკვირველია ქართველი ერი არ შეურიგდა რუსეთის მიერ მის გადაყლაპვას და მრავალი კუთხური აჯანყებების გზით შეეცადა მონობის უღლის გადაგდებას. მაგრამ ასეთ საშუალებაში გაწბილებამ აიძულა ის ღია ბრძოლის ტაქტიკა ლეგალურ საქმიანობით შეეცვალა; გასაჭირისაგან თავის დაღწევა შესაფერ დროსთვის მიენდო და ამის მოლოდინში ეროვნული სულის გაღვივებაზე, მისი ენის, კულტურის, მისი ეროვნული ვინაობის შეგნება-შენახვაზე ეზრუნა, რათა ქვეყანა ერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკიტას მანიფესტი.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, მოსკოვში თავს მოიყრიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის დელეგატები და მსოფლიო კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები. ამ თავშეყრილობის შესახვედრათ მოსკოვში დიდი ფაცი-ფუცი მიდის და ბევრი ნაბიჯი გადაიდგა. რადგანაც ატომური ყუმბარების რახა-რუხი, რაკეტების ჩხარუნი და კოსმონავტების კოსმოსში ფრენა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დელეგატება და სტუმრებს ყველაფერი კარგად დაანახონ და საბჭოთა რუხი სინამდვილე სამოთხედ მოაჩვენონ, ამიტომ რუსეთის კომუნისტური პარტიის დღევანდელმა ბატონ-პატრონმა ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ბანდამ „პრავდას“ ფურცლებზე გამოაქვეყნეს 50 ათას სიტყვიანი ნაცოდვილარი, რომელიც, ალბათ, ისტორიაში შევა „ნიკიტას მანიფესტის“ სახელწოდებით. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ „ნიკიტას მანიფესტი“ თვალებს აუჭრელებს საბჭოთა დელეგატებს, სატელიტურ ქვეყნების მთავრობების მეთაურებს და მათ, კომუნისტური იდეებით დაბრმავებულ და გამოჩერჩეტებულ დამქაშებს. არ არის გამორიცხული არც იმის შესაძლებლობა, რომ ჩინეთის კომუნისტებს სავსებით ჭკვაში დაუჯდეთ ნიკიტას თეორიები და დაპირებები—მაგრამ ერთი რამე უდავოა კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები არ უღალატებენ ძველ და ტრადიციულ გზას და როგორც ყოველთვის, ერთხმად, მქუხარე ოვაციებით, ხანგრძლივი ტაშით და ფეხზე ადგომით მიიღებენ და დაამტკიცებენ იმას, რასაც მათი მოსკოველი ბატონ-პატრონები მოისურვებენ.

ობიექტიური მიმოხილვისათვის და ჭკუასთან ახლო მყოფ დამკვირვებლისათვის კი „ნიკიტას მანიფესტი“ არის გაჭიანურებული მახინჯი, საშინელ და უტიფარი ნაჯღაბნი. რომლის მსგავსი კაცოცბრიობის ისტორიაში არ გამოქვეყნებულა. სწორედ ამიტომ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ნიკიტას ეს ნაცოდვილარი და გავაცნოთ ჩვენს მკითხველს და თავისუფალი სამყაროს, თუ რას უმზადებს მსოფლიოს კომუნისტური მონათმფლობელი.

„ნიკიტას მანიფესტის“ შესავალი დათმობილი აქვს კომუნისტური მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების მოკლე მიმოხილვას 1848 წლიდან დღევანდლამდე. 1848 წელი, ის წელია, როცა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა „გააბედნიერეს“ მსოფლიო პირველი „კომუნისტური მანიფესტის გამოქვეყნებით. მარქს—ენგელსის მანიფესტი მეტად რომანტიული ფრაზეოლოგიით იწყება—„ახალი შარავანდედი დასტრიალებს ევროპას—კომუნისტური შარავანდედიო“. შემდეგ იცვლის ტონს და მთავრდება იმდროინდელი, ახლად ფეხადგმული ევროპიული პრიმიტიული კაპიტალიზმის წყევლითა და კრულვით. სამწუხაროთ, თუ საბედნიეროდ, მარქსისა და ენგელსის ეს კაზმულსიტყვაობა აინუნში არავინ ჩაიგდო და მრავალმა წელმა ისე გაიარა, რომ კომუნისტური მოძრაობის შესახებ მსოფლიოს არაფერი მოუსმენია.

კომუნისტური მოძრაობის პირველი გაფაჩუნება და ამ მოძრაობის მახინჯი სახის დანახვა მსოფლიომ მოახერხა პარიზის კომუნაში. პარიზის კომუნა (1871 წლის მარტი) შედეგათ მოჰყვა საფრანგეთ-პრუსიის ომს, რომელიც დამთავრდა საფრანგეთის დამარცხებით. „პარიზის კომუნის“ აჯანყება ხანმოკლე და უდღეური გამოდგა, მაგრამ კომუნარებმა მოახერხეს მთელი რიგი ტრადიციების შექმნა: ძმებს შორის სისხლის ღვრა, უდანაშაულო ხალხის განუკითხავად ჟლეტა, მოსახლეობის ტერორის ქვეშ დაყენება და ასე შემდეგ. იმავე წლის მაისში ფრანგულმა არმიამ დე მაკმაონის სარდლობით დაამარცხა სისხლის მღვრელი აჯანყება და ამით დამთავრდა პარიზის კომუნის ამბავი. ქრონიკისათვის შეგვიძლიან მოვიხსენიოთ, რომ მიუხედავათ კომუნის ხანმოკლე არსებობისა, კომუნარებმა მოასწრეს პარიზის ეპისკოპოზის „ლიკვიდაცია“ კომუნისტურ ყაიდაზე და როგორც ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ეს იყო იმ ეპოქის ერთი საშინელ მკვლელობათაგანი. რასაკვირველია, ამის შესახებ „ნიკიტას მანიფესტში“ არაფერი არ არის ნახსენები.

ნიკიტას ქრონოლოგიას თუ დაუჯერებთ, კომუნისტური მოძრაობის მორიგი, ღირსშესანიშნავი ეტაპი 1905 წლის „რევოლუციაა რუსეთში“. არც იმაში დაეჭვდეთ, რომ ამ აჯანყების მეთაურობა და ხელმძღვანელობა ნიკიტამ სავსებით რუსეთის კომუნისტურ პარტიას მიანიჭა. სინამდვლეში ამ აჯანყების მთელი თაოსნობა ლიბერალურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს ეკუთვნოდა. 1905 წლის „რევოლუციამ“ ისე შეაშინა და დააფრთხო რუსეთის უხერხემალო და უნიჭო იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, რომ ზოგიერთი რეფორმა განახორციელა, რომელიც მის იმპეიას დიდი ხნიდან აჭირდებოდა.

მესამე და ყველაზე საბედისწერო ეტაპი კომუნისტური მოძრაობის წინმსვლელობაში. [illegible] მეფის რუსეთი მუხლზე დაჩოქილი კაიზერ ვილჰელმ მეორის გერმანული ლაშქარი წინ მიიწევს, თეთრი იმპერია მოიცვა ქაოსმა და უწესრიგობამ. 1917 წლის თებერვალში კერენსკის „მოდერატიული“ მთავრობა სახელმწიფოს უდგება სათავეში. კომუნისტური პარტია, ლენინის მეთაურობით, თავის მხარზეე იბირებს ცარცვა-გლეჯის მსურველ დეზერტირებს და ავაზაკებს, ეპატრონება მოსკოვს და დეპეშით აცნობებს რუსეთის პროვინციებს, რომ რევოლუია მოხდა და ამიერიდან ძალა-უფლება „პროლეტარიატს“ ეკუთვნისო. 1917 წლის ოქტომბრის „რევოლუციით“ იწყება კომუნისტური ტერორის და თავაშვებულობის გაუგონარი ეპოპეა. ბარბაროსული ურდოების „წითელი არმია“ იპყრობს „რუსეთის ერებს“, ეპატრონება ჩრდილოეთ კავკასიას და სამხრეთისაკენ აგრძელებს გზას. იმორჩილებს კავკასიას, ფეხქვეშ თელავს და „ასაბჭოებს“ საქართველოს. კომუნიზმის ექსპანსია გრძელდება. მეორე მსოფლიო ომს და პრეზიდენტ რუზველტის ნებით, თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომებს კომუნისტები ჩინებულად იყენებენ, აფართოვებენ წითელი მონათმფლობელური იმპერიის საზღვრებს და ბანაკდებიან ცენტრალურ ევროპაში. აღმოსავლეთ გერმანია, ბერლინის ნაწილი, ჩეხოსლოვაკია, ბალტიის ქვეყნები, ბულგარეთი, პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები იქცევიან კომუნისტების ბრჭყალებში. 1949 წელს კომუნიზმი აღწევს მორიგ გამარჯვებას—ეპატრონება ჩინეთს. გენერალისიმუსი ჩანკაიშეკი, ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოკალათებულ ზოგიერთ „ექსპერტების“ რჩევით სტოვებს კონტინენტალურ ჩინეთს და ფორმოზაში გადადის.

და აი დღევანდელი სურათი: მსოფლიოს მესამედი კომუნისტურ მონათმფლობელობაში, ერთ მილიარდზე მეტიადამიანი კომუნისტური ტირანიის ქვეშ, და გული არ გაგიტყდეთ, ნიკიტას არც თქვენ ავიწყდებით. ის თქვენც გპირდებათ „გაბედნიერებას და განთავისუფლებას.“ ნიკიტას გადაწყვეტილი აქვს, რომ თქვენც დაგიმონოთ და კომუნისტური სამოთხის სიტკბოება გაგემოთ. მისი პირდაპირი და სანუკვარი მიზანი ამერიკის შეერთებული შტატების განადგურებაა. ამ თემას დათმობილი აქვს „ნიკიტას მანიფესტის“ პირველი ნაწილი შემდეგი ქვე სათაურით: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა ჰუმანური პროგრესის შარა გზაა“. „ნიკიტას მანიფესტის“ ეს ნაწილიც სავსეა სიყალბით, ცილისწამებით და ფეხმოკლე ტყუილებით. თუ ნიკიტას დაუჯერებთ, მსოფლიოს უბედურების მთავარი მიზეზი ამერიკული კაპიტალიზმია. თურმე ამერიკული კაპიტალიზმი რომ არ არსებობდეს ამდენ ხან ნიკიტა ოკეანს გადმოღმა იქნებოდა და თქვენც „განთავისუფლებული“ იქნებოდით.

თურმე საწყალ ამერიკელებს (რასაკვირველია, კაპიტალისტების გამოკლებით) ტყავი აქვთ გამძვრალი, საშინლათ იტანჯებიან და მათი ექსპლოტაცია დღითი დღე იზრდება, რადგანაც „კაპიტალიზმი სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით და ეს წინააღმდეგობანი გამუდმებით საფუძველს უთხრიან კაპიტალიზმს და ერთ მშვენიერ დღეს მთელ ამ სისტემას ფსკერი გავარდება“. ნიკიტა დროს არა კარგავს ამ წინააღმდეგობების ჩამოთვლაზე და საჭიროთ არა სთვლის, რომ „დაბეჩავებულ“ ამერიკელ მშრომელებს დაანახვოს თუ რა არის მათი უბედურების მიზეზი და რატომ მშრომელთა ათეულ მილიონებს ამერიკაში ათასჯერ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები გააჩნიათ, ვიდრე საბჭოთა მოქალაქეებს. ნიკიტა არც იმაზე იწუხებს თავს, რომ აგვიხსნას, რატომ არის, რომ ამერიკის მაღალ შემოსავლიანი ფენები გაცილებით მეტ საშემოსავლო გადასახადს იხდიან, ვიდრე დაბალ შემოსავლიანი ფენები. ნიკიტა არც იმას ახსენებს რომ მთელი ამერიკელი მუშა საგადასახადო უწყებებს უხდის, დაახლოვებით, იმდენს, რამდენსაც მისი საბჭოელი კოლეგა აკეთებს წელიწადში და მიუხედავათ ამისა ამერიკელი მუშის ხელფასი სულ ცოტა ათჯერ მაინც მეტია, ვიდრე საბჭოთა მოქალაქისა. ნიკიტას ავიწყდება აგვიხსნას, თუ რამ აიძულა ორნახევარი მილიონი აღმოსავლეთ გერმანელი, რომ მიეტოვებინა საკუთარი კარმიდამო და მიწა წყალი და დასავლეთ გერმანიაში გაქცეულიყო. რასაკვირველია არც იმის ახსნაზე ირჯება, რომ გვითხრას, თუ რატომ დასჭირდათ ნიკიტას პატარა ბიჭებს აღმოსავლეთ ბერლინისათვის გალავანის შემოვლება და ეკლიანი

კული მოქმედების სწორი გზები მოიძებნოს.

კერძო ინიციატივაზე დაშენებული ცხოვვრებარება მოგვცემდა მრავალ უპირატესობას უპირველეს ყოვლისა ქართველ ერს არ დასჭირდებოდა იმდენი მსხვერპლის გაღება რაც იძულებით კოლექტივიზაციას მოყვა. მეორეა: საქართველოს ეკონომიური პირობების გაუმჯობესება ქართველი ერის რიცხობრივ ზრდის შესაძლებლობას შექმნიდა და ეკონომიური აღმავლობა იქნებოდა უფრო სწრაფი და დიდი

ამგვარად, სახელმწიფო დაგეგმის პრინციპს დამორჩილებული საქართველოს აღმავლობა არ შეიძლება ქართველი ხალხის შემოქმედების სრულ გამომჟღავნებათ მივიღოთ. ბევრად დიდი და სწრაფი იქნებოდა თავისუფალი ხალხის თავისუფალი შემოქმედების მიღწევები, რაც სავსებით შეეფერება ქართულ ბუნებას და მის ეროვნულ ტრადიციებს, ვიდრე ბატონ-ყმური ურთიერთობიდან გამომდინარე სახელმწიფო დაგეგმის ეკონომიკამ მისცა.

გ. ზალდასტანიშვილი.

ვნულ-პოლიტიკურად გათვითცნობიერებული შეხვედროდა ცვალებად მოვლენებს. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული სკოლები, ქართული თეატრი, ქართული ბანკი, ჟურნალ-გაზეთები, სიტყვა-კაზმული მწერლობა, კოოპერაცია, სახალხო სახლები—აი ამ ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებათა ახალი ასპარეზი, რომელზედაც გაიშალა ჩვენს იმ დროინდელ სასიქადულო დიდ მოღვაწეთა ახალ ტაქტიკის გამომხატველი მადლიანი საქმიანობა ისეთ დუღჭირ პირობებში, როდესაც უცხო ბატონების მიერ ქართველი ერი რაღაც მდარე ხარისხის „ინოროდცებათ“, მისი ენა „ძაღლის ენად“ იწოდებოდა და მტრის განკარგულებაში არსებული ყველა აპარატები მის ეროვნულად გადაგვარების მიზნებს ემსახურებოდა.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პოლიტიკური პარტიების დიდი ღვაწლი, რაიც მათ ერთის მხრით თავიანთ უშუალო მონაწილეობით დასდეს ყველა ამ კეთილ წამოწყებათა ნაყოფიერად მიმართვას, მეორე მხრით კი თავიანთ არალეგალურ, თუ ნახევრად ლეგალურ ბრძოლის პროცესში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ერის გათვითცნობიერებას, მის პოლიტიკურად დარაზმვას, ბრძოლაში გაწრთვნას, მის ერთი დროშის ქვეშ გამთლიანებას და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მისი სახელის, მისი ვინაობის გარეთ გატანას და პოპულარიზაციას, როგორც იმპერიის შიგნით, ისე გარეშე ქვეყნებშიც.

იფეთქა რევოლუციამ. საამისოდ პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი იმპერია, კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს გამონაკლისით, სამოქალაქო ომის ცეცხლმა მოიცვა და ამის შედეგად ჩვენი ქვეყანა მოწყდა რუსეთს ჯერ ფიზიკურად, შემდეგ კი საქართველოც და რუსეთიც თავთავიანთ ეროვნულ ტრადიციებს: რუსეთში კომუნისტური ტირანია გამეფდა, საქართველომ კი თავისი დამოუკიდებლობა აღიდგინა და ეროვნულ აღმშენებლობით მუშაობას შეუდგა. მიუხედავათ ამისა რუსეთი საქართველოს მაინც მის საკუთრებად იგულვებს და ის მას მორიგ მზაკვრულ ღალატით გამოხატავს: ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით ის ოსმალეთს მიაჩუქებს საქართველოს უდაო ოლქებს და ამით უსპობს მას მისი დაპყრობის შემდეგ დარჩენილ ერთად-ერთ ნუგეშს, რაიც თუ გინდ რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ქვეყნის ტერიტორიის მთლიანად შენახვის იმედით გამოიხატებოდა. იმავე დროს კომუნისტების დემაგოგიურ პაროლებით გატაცებული რუსის ჯარი შლის კავკასიის ფრონტს, უდისციპლინო ბრბოების სახით სახლისაკენ მიეშურება და ამით არა მარტო ოსმალეთს უხსნის გზას საქართველოში შემოსასევად, არამედ, რაც არა ნაკლებ სახიფეთო იყო ჩვენთვის, დეზორგანიზებული რუსის ჯარი, დახევის გზაზე მდებარე საქართველოს გაძარცვა-აწიოკებით ემუქრება. ასეთი მრავალმხრივი ღალატით რუსეთი თვითონვე აბათილებს მის მიერ შეთხზულ, სინამდვილეში კი არასოდეს არ არსებულ „უფლებებსაც კი, რითაც ის ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩადენილ ძალმომრეობის გამართლებას ლამობდა.

ბუნებრივია, რომ ასეთ მრავალმხრივ განსაცდელში მომწყვდეული ერი მოხდენილად იყენებს შემთხვევას, იხსნის 117 წლის განმავლობაში უმართებულოდ ტარებულ უცხოუღელს, ხელთ იღებს თავის თავის პატრონობას და ოცდა ექვსი მაისის აქტით იბრუნებს და აკანონებს თავის ეროვნულ მეობას; საკუთარი მარჯვენით უმკლავდება გარედან მოწოლილ განსაცდელს და ერთსულოვანი ენტუზიაზმით გაერთიანებული ძალებით, განურჩევლად რწმენისა, წოდებისა თუ სოციალური მდგომარეობისა, ადამიანის უფლება-მოვალეობის უაღრეს დემოკრატიულ საფუძველზე აგებით. ამიერიდან უდგება თავისუფალ საკუთარ ქვეყნის საკუთარ გემოზე აგებას.

ბატონებო, ნუ გვიუცხოვდება ზოგიერთი დეფექტები თუ შეცდომები, რომლებსაც, ცხადია იქნებოდა ადგილი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. შეცდომა ყოველი საქმიანობის თანდაყოლილი სენია. წარმოვიდგინოთ ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიც ყოველი რჯულის მტერ-ორგულებით გარსშემორტყმულ, თავის ვიწრო საზღვრებში ჩაკეტილ და სასუნთქავ დახშულ ერს, მსოფლიო ომის შედეგათ დამშეულ და გალატაკებულ ქვეყანას, ნორჩ, ახლად ფეხადგმულ სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა უხდებოდა და გასაკვირი იქნება არა ის თუ რამ ვერ, ან ცუდათ გაკეთდა არამედ ის რისი გაკეთებაც მოხერხდა იმ მცირე პერიოდში, რითაც თვით უცხოელებიც კი განცვიფრებაში მოდიოდნენ. თვით ის ფაქტიც კი, რომ მრავალ სხვა მისი ბედის მოზიარეთაგან გამონაკლისის სახით საქართველო დე ფაქტო და დე იურე ცნობილ იქმნა ჯერ თვით იმავე რუსეთის და შემდეგ მრავალ მოწინავე ქვეყნების მიერ, ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენმა ერმა იშვიათი უნარი გამოიჩინა საკუთარი ცხოვრების მოწესრიგებაში და ამით დაიმსახურა საერთაშორისო დიდი ოჯახის წევრი გამხდარიყო.

ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს ბედნიერება. მართალია რუსეთმა პირველმა იცნო საქართველოს სუვერენობა შინაურ აწეწილ მდგომარეობის ზეგავლენით, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ მისი ცბიერების მორიგი აქტი აღმოჩნდა. სამოქალაქო ომის დამთავრების უმალვე რუსეთი ერთხელ კიდევ მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, ფეხ ქვეშ გათელა—120 წლის განმავლობაში მეორეთ—ახალი ხელშეკრულება, მის მიერვე ცნობილი დამოუკიდებლობა გააუქმა და ქვეყანა რაღაც საკავშირო რესპუბლიკის ფიქტიურ სახელწოდებით თავის კოლონიად გახადა. ქართველ ერს კვლავ დაადგა უკვე ნაგემები მონობის უღელი.

დიაღ, იმავე რუსეთმა, იმავე მზაკვრობით, მეორეთ დაიპყრო საქართველო, ვიმეორებ და ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ხშირად ხმარებაში არსებულ მცდარ აზრის უკუსაქცევად, რითაც რაღაც გაუგებრობით ეს მეორე ძალმომრეობა კომუნისტური რეჟიმის აქტად საღდება. მართალია ამ ხელადშემოვიდა ჩვენში კომუნისტური რუსეთი, მაგრამ ასეთ მოაზროვნეთ მხედველობიდან ეპარებათ, რომ მეფის თუ კომუნისტური რუსეთი, როგორც ორივეში ამ სიტყვის განმეორება მოწმობს, ერთი და იგივე რუსეთია და მისი შავი თუ წითელი ფერი არაფერსა სცვლის. გადატრიალებას, ერთი რეჟიმის მეორეთი შეცვლას, ისიც შინაური, რუსული ძალებით, ადგილი მიეცა მხოლოდ რუსეთში და რეჟიმის საკითხიც, როგორც სლავიანთა შინაური დავა, მხოლოდ იქ დგას. იქ არავითარ იმპერიალისტურ გავლენას, არავითარ გარეშე დაპყრობას ადგილი არ ჰქონია. კიდევ მეტი: საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ბიჯგი და დასაყრდენი რუსის ჩექმაა, ის მას მოჰყვა და ცხადია მასვე უნდა გაჰყვეს, მის ბატონსა და მბრძანებელს. ამ ჩექმას მოკლებული ის ერთ წუთსაც ვერ იარსებებს. ამიტომაც ქართველი ერის ბრძოლის საგანია არა ვიღაც მოსკოვის ძაფებზე მხტუნავი მარიონეტები, რომლებიც ქართველი ერის ერთ სულის შებერვასაც ვერ გაუძლებდნენ, არამედ მათი მომთესლებელი და მასაზრდოებელი რუსული ოკუპაცია, რა ფერსაც ის არ უნდა ატარებდეს.

მაგრამ ეს სიტყვამ მოიტანა. დაუბრუნდეთ საკითხს.

ამრიგად განმეორდა ისტორია იდენტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინის კრიზისის გამო.

„დეილი ნიუსი“-ს ნიჭიერმა ჟურნალისტმა ტედ ლევისმა ნიუ-იორკის გავრცელებულ გაზეთში საზოგადოებას გააცნო თავისი შთაბეჭდილებები ბერლინის კრიზისის გამო.

ჟურნალისტის სურვილია გაიმიჯნოს ოფიციალური ექსპერტებისაგან და აგრეთვე იმ „ორკეც“ დაწესებულებებისაგან, რომლებიც ოფიციალური დალოცვის გარეშე იგროვებენ „ცნობების“ ნაკენკებს საგარეო და სამხედრო სამინისტროების ეზოებში და მერე ამუშავებენ „ინფორმაციებს“ თავიანთ „სახელოსნოებში“.

ჟურნალისტს შეუძლიან გაბედულად და ავტორიტეტულად გამოთქვას თავისი აზრი. ხანგრძლივი „ცივი ომის“ ხანაში ექსპერტები მთლად დაიქანცნენ, მათ დახარჯეს უამრავი შრომა და ენერგია იმის გამოსარკვევად, რის გარკვევაც ძნელია ოფიციალური ტექსტებიდან. ტედ ლევისის აზრით ბერლინის ამბავზე ჟურნალისტებმა ექსპერტებზე ნაკლები არ იციან. უპირველეს ყოვლისა „ბერლინის საკითხში“ არაფერი ახალი არ არის. „ცივი ომის“ კანონით ეს ისევე დასრულდება, როგორც მრავალჯერ დასრულებულა ხრუშჩოვის მუქარა, თუ, რასაკვირველია დასავლეთმა უყოყმანოთ შეინარჩუნა თავისი სიმტკიცე და გარდაუწყვეტილება.

ხრუშჩოვმა „კრიზისის“ თარიღი ზუსტად არ დანიშნა—ამ წელს მოხდებაო. მაგრამ რისი კრიზისია თუ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უკვე გარკვეულად უთხრა ხრუშჩოვს „ბერლინს არ დაგითმობთო“ მაშასადამე რჩება ომი, ან უბრალო სეირი! რათ სჭირდება ხრუშჩოვს წინდაწინ უთხრას დასავლეთელებს ექვს თვეში ომს გიზავთო—თუ მართლა მას ომი სურს? ხოლო თუ ხრუშჩოვს მართლა ომი სურს რატომ უნდა ქნას ის უსათუოდ ბერლინის გამო? ეს ყველაფერი მართლაც უცნაური და აუხსნელია! ექსპერტებსაც უკვირთ, მაგრამ მაინც იძახიან კრიზისი უთუოდ მოხდება ამ წელში, რადგან ხრუშჩოვს სხვანაირად არ შეუძლიან მოქცევაო.

ნუ თუ ხრუშჩოვი მართლა გააფრთხილებს დასავლეთელებს თუ როდის დაიწყებს ომს? ნუ თუ მართლა ეს არის მიზანი „ბერლინის კრიზისისა“? აქ რაღაცა სხვა მარხია და სხვა მიზანი უნდა იყოს. ამ მიზანის გაგება არც ისე ძნელია, თუმცა ექსპერტებისათვის მეტად გაუგებარია. ხრუშჩოვს სურს თავისი „ძალის უპირატესობით“ და გაბედულობით სცადოს და გასინჯოს დასავლეთის მოკავშირეების მთლიანობა და მათი უდრეკელობა. თუ დასავლეთი მედგრათ დადგა ბერლინის კრიზისი არც ექვს თვეში, არც ცხრა თვეში არ მოხდება და ეს ყველაფერი დასრულდება ხრუშჩოვისათვის ჩვეული სატრაბახო სეირითო.

ნიკიტას მანიფესტი.

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე).

მავთულების გავლება საზღვრის გარშემო.

ეს პატარა დეტალები არ აწუხებენ ნიკიტას და ისევე, როგორც მისი მეცხრამეტე საუკუნის წინაპრები მარქსი და ენგელსი, ნიკიტაც იმავე დასკვნას აკეთებს: „კაპიტალიზმი ამდიდრებს მდიდარს და აღარიბებს ღარიბს. ამიტომ კომუნიზმი არის ჰუმანური პროგრესის მორიგი საფეხური მთელს მსოფლიოში“. „რა საკვირველია—ასკვნის ნიკიტა, ზოგერთ ქვეყანაში კომუნიზმი დამყარდება მშვიდობიანი გზით, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში საჭირო იქნება კომუნიზმის ძალდატანებით დამყარება“. ამიტო კომუნიზმის გოშიებმა თავისუფალ მსოფლიოში ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა კომუნიზმის ძალდატანებით დამყარებას ხელი შეუწყონ.

რასაკვირველია ნიკიტას ეს დირექტივა დიდათ აადვილებს მრავალი მოვლენის ახსნას. მაგ. რა ამოძრავებს ამერიკელ სტუდენტთა კონგრესის ანტიამერიკულ მოქმედების კომიტეტის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებს. ან ვინ იმალება ატომურ ყუმბარის აკრძალვისათვის მებრძოლ კომიტეტის ნიღაბ ქვეშ ინგლისში. რა იწვევს ქაოსს, არეულ-დარეულობას და მკვლელობებს კონგოში. რა კუბის გვრემა აქვს წვერცანცარა კასტროს მიმდევრებს სამხრეთ ამერიკაში და საზოგადოთ ყოველ იმ წამოწყებას, რაც დედა-მიწაზე არევ-დარევას იწვევს. ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონ ნიკიტას ამ სამსახურის გაწევისათვის და ვიმედოვნებთ, რომ მისი მანიფესტი თვალს აუხელს ბევრ ურწმუნო თრმას და ნათლად დაანახვებს, რომ გარეგნულად უცოდველ მოძრაობის ნიღაბ ქვეშ იმალება მშვიდობიანობის ძირის გამომთხრელი ბოროტმოქმედის სახე და ბევრი მიამიტი ადამიანი, შეგნებულად თუ ქეუგნებლად ემსახურება კრემლის ბინძურ საქმეს, როგორც აქედ, ოკეანის გადმოღმა,, ისე იქიდ, საბჭოთა კავშირი სსამეზობლოში.

თუ ნიკიტას და მის ბანდას დაუჯერებთ, კომუნისტური მონათმფლობელობის მიზანი ახალი სამყაროს შექმნაა, რომელშიც უწესრიგობას, უსამართლობას, დამონებას და ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფას ადგილი არ ექნება ნიკიტას და მისი მიმდევრების უტიფრობა ამით არ მთავრდება. ისინი უფრო შორს სტოპავენ სიცრუის მორევში და თავიანთ ნაჯღაბნში უტიფრად გაიძახიან, რომ „სოციალიზმმა გადასჭრა დიდი სოციალური პრობლემა—მოსპო ექსპლოტაციის გამომწვევი კლასი და გააუქმა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოტაცია. ამ ჟამად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში არსებობს ორი მეგობრული კლასი: მუშათა კლასი დაგლეხობა“. ეს განცხადება ნიკიტას მანიფესტის ყველაზე უფრო სასაცილო პუნქტია და კლასიკური მაგალითი კომუნისტური პირმრუშობისა. მსოფლიოს ისტორიაში ძალიან ძნელი იქნება ისეთი რეჟიმის გამოჩხრეკა, რომელშიც მმართველი წრეების მიერ მოსახლეობის ექსპლოტაცია და დამონავება კომუნისტური რეჟიმის სისასტიკეს და სისხლის მსმელობა ბადალი იყოს. სავსებით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხალხის ექსპლოტაციამ საბჭოთა კავშირში ისეთ დონეზე მიაღწია, რომ მეცხრამეტე საუკუნის კაპიტალიზმი ამასთან შედარებით თაფლი და შაქარია.

მიმომხილველი.

(დასასრული იქნება)

ფორმით, მაგრამ გაცილებით სასტიკი და დაუნდობელი შინაარსით. ამუშავდა ჩეკად გადანათლული რუსული „ოპრიჩინის“ შურისძიების აპარატი ქართველ პატრიოტებზე სანადიროთ. დაიბორკა ადამიანის არა მხოლოდ ენა, არამედ თვით უჩინარი აზროვნებაც კი. აივსო სარდაფ-ციხეები. დაიღვარა ერთგულ მამულიშვილთა უმანკო სისხლი. გაიძარცვა ერი პოლიტიკურად. გაიძარცვა ის ქონებრივათაც. ერის ნაძარცვ დოვლათით დატვირთული მატარებლები, ფეშქაშის სახით, ერთმანეთს მისდევდნენ დამშეულ რუსეთისაკენ—ისიც ცინიკური წარწერებით: „მადლობა მოსკოვს ბედნიერ ქართველი ერისაგან“. „ვინც ჩვენთან არაა -ის ჩვენი მტერია“, ასეთ ბარბაროსულ პაროლზე აგებულ განუკითხავ დევნა ტერორმა ხალხი აიძულა ტყეებში გახიზნულიყო. გაჩნდა მასიური პარტიზანობა ყველა მისი თანდაყოლილი თვისებებით. აივსო და გადმოდენაც იწყო აწიოკებულ ერის მოთმინების ფიალამ. აჯანყებები სპონტანურად, უსისტემოდ დაიწყო სხვა და სხვა კუთხეში: სვანეთში, ხევსურეთში, რაჭაში, კახეთში. რაც ძლიერ, დაუნდობელ მტრის პირის-პირ ქვეყანას სისხლისაგან დაცლას უმზადებდა, ისიც შედეგის მიუღწევლად.

აი, ასეთ მწვერვალზე ასულმა ერის მრისხანებამ გარდაუვალ აუცილებლობის წინაშე დააყენა მეტ ნაწილად უკვე არალეგალობაში მოქცეული მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხელში აელო ამ გაფანტულ მოძრაობის გაძღოლა, მისი სისტემაში მოყვანა, მის ერთ მწყობრ ძალად შედუღება, ერთ კალაპოტში მოქცევა, საერთოდ მის სტრატეგია-ტაქტიკაზე ზრუნვა სათანადო მომენტში, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით, სასურველი შედეგის მისაღებად.

მე ამ ჟამად ვერ შევჩერდები იმ რთულ და უმადურ საკითხის გარკვევაზე, თუ რამდენათ სასურველად თუ დასრულებულად ჩატარდა ხელმძღვანელობის მიერ ეს მეტად პასუხსაგები მუშაობა, ვინაიდან ასეთ სამგლოვიარო დღეს ამ თემაზე საუბარი უადგილოდ მიმაჩნია. მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ეს მუშაობა ვერ აღმოჩნდა თავისუფალი ზოგიერთ სავალალო დეფექტებისაგან, რაც, რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, თითქოს იმ ჯოჯოხეთურ პირობებში ამის აცილების შესაძლებლობა არსებულიყოს. მაგრამ, რაც მთავარია, მეტად ზერელე და გაბედული იქნებოდა იმის მტკიცება, თითქო თვით აჯანყების ბედი ამ დეფექტებს გადაეწყვიტოს.

(დასასრული იქნება).

„დეილი ნიუსი“-ს ივნისის 21-ს ცნობით აღმოსავლეთ გერმანიაში ოფიციალურ დაწესებულებებს დაურიგეს „მემორანდუმი“ აღსახსნელ-განსამარტებლად, თუ რისთვის ვერ იქმნა აღსრულებული შვიდწლედის გეგმა. მემორანდუმი ბრალსა სდებს სხვა და სხვა სტიქიურ მოვლენებს. მაგრამ სპეციალისტების აზრით შვიდწლედის მარცხის მთავარი მიზეზი მუშა ხელის რიცხვის შემცირება ყოფილა. თურმე არა ნაკლები 700.000 ახალგაზრდა გერმანელი გამოექცა „კომუნისტურ სამოთხეს“ და დასავლეთ გერმანიაში გადავიდა. დაბადების რიცხვიც შემცირებულა, მეტადრე დასავლეთ გერმანიასთან შედარებით. რადგან ხალხი არ ყოფნით, ამიტომ ამ წელს მოსწავლე ახალგაზრდობა და ჯარიც მიიღებს მონაწილეობას მოსავლის აკრეფაში. დემოგრაფიული კრიზისი ძალიან დიდია. სპეციალისტების აზრით მდგომარეობა ბევრათ უფრო უარესია ვიდრე ამას ამჟღავნებს „მემორანდუმი“, რადგან 1965 წლამდე დასავლეთ გერმანიაში გაქცეულ ახალგაზრდობის რიცხვი გასცილდება ერთ მილიონს.

საბჭოთა სამყაროში.

„ალბანეთში ნიკიტას სურათები შეცვალეს სტალინის სურათებით. ალბანეთის მთავრობა თანდათანობით უფრო უახლოვდება მაოს ჩინეთს და შორდება საბჭოთა კავშირს“-ო.

ასეთია გაბატონებული აზრი ბელგრადში.

იტალიური პრესის მიხედვით კი პატარა ალბანეთსა და დიდ რუსულ იმპერიას შორის ურთიერთობა დღითიდღე რთულდება და მწვავდება.

ტირანაში მყოფ უცხო დიპლომატების გადმ

ოცემით ალბანეთში ხშირია რუს და ალბანელ ტექნიკოსებ შორის კონფლიკტი. საბჭოთა კავშირში ორი ალბანელი მოხელე დაუტუსაღებიათ, რომლებსაც რუსული ადმინისტრაცია ჯაშუშობას აბრალებს. ამას გამოუწვევია ალბანელ-რუს ტექნიკოსების მკაცრი შეჯახება. იმავე წყაროს ცნობით ალბანური კომპარტიის მეთაური ენვერ ხოჯა გარკვეულად ცდილობს ალბანეთში შეასუსტოს რუსული გავლენა და გადადის ჩინეთის ხაზზე.

დიდი ხნიდან ცნობილია ხოჯას სიმპატიები ჩინურ კომუნიზმის მიმართ. ტირანასა და მოსკოვ შორის მდგომარეობის გართულებაც ამის გამო წარმოშობილა.

მოსკოვმა საგანგებო ცირკულარით მიმართა აღმოსავლეთ ევროპის ყველა კომპარტიებს რათა მათ იმსჯელონ და განსაჯონ ალბანეთის კომპარტიის უმართებულო საქციელი.

ახლო მომავალი დაგვანახვებს მოახერხებს თუ არა ჩინეთი, რომ მისი ერთგული ალბანეთი მოსკოვის რისხვას ააცდინოს.

ამაზე იქნება დამოკიდებული აღმოსავლეთ ევროპის „ურჩ კომუნისტების“ ბედიც.

ალბანია.

რადიო ტირანას ცნობით ალბანიის ხელისუფლებას დაუტუსაღებია და „გაუსამართლებია“ პარტიული და სამხედრო უწყების უმაღლესი მოხელეები.

გასამართლება მომხდარა ქ. ტირანაში მაისის 15-ს. სამოსამართლო უწყების განცხადებით „ყველა ბრალდებულმა აღიარა თავისი დანაშაული და გამოტყდა, რომ იყვნე საიდუმლო ურთიერთობაში საბერძნეთის, იუგოსლავიის და შეერთებული შტატების მეექვსე ფლოტის აგენტებთან“.

ათი ბრალდებულიდან ოთხს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რომელთა შორის არიან: ალბანეთის სამხედრო საზღვაო ძალების უფროსი, ელშაზანის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, ალბანეთის ჯარის ოფიცერი და კომუნისტური პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი.

რადიო ტირანას ცნობით კონტრადმირალ ცეშე ცეიკუს ანტიპარტიულ და მოღალატურ შეთქმულებაში მონაწილეობა უნდა აიხსნას „მისი დედის, ძმის და სამი ბიძაშვილის დატუსაღებით და ერთი უახლოეს მეგობრის დახვრეტით“.

იუგოსლავური სააგენტო „ტანიუგ“-ი მკაცრად ილაშქრებს ყალბ ბრალდებებზე დაშენებული სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „ამით უფრო რთულდება იუგოსლავია-ალბანიის ურთიერთობა და ამ პროცესის მიზანია ალბანელი ხალხისათვის მიუღებელმა მთავრობამ დააშინოს და მორჩილებაში მოიყვანოს ალბანელი ხალხი. მეზობლების წინააღმდეგ ასეთი გაუმართლებელი ბრალდებები გამოლაშქრება კი უარესად გაამწვავებს ბალკანეთის მდგომარეობას“-ო.

წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ „ქართული აზრის“ მორიგ ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს პატარა წერილს.

„ქართული აზრის“ 44-ხე ნომერში, ივნიისის 1961 წ. დაიბეჭდა შეერთებულ შტატებში არსებულ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე პროფ. ო. ზალდასტანიშვილის სიტყვა, წარმოთქმული 26 მაისის სადღესასწაულო კრებაზე.

პროფ. ო. ზალდასტანიშვილის სიტყვის შინაარსმა უაღრესათ გამამხნევა და ჩემში განამტკიცა უკეთესი მომავლის ღრმა რწმენა. მისი ყოველი ფრაზიდან გამოსჭვივის სამშობლოს ღრმა სიყვარული და მისი განთავისუფლების გზების დინჯი, დარბაისლური და პრაქტიკული მიდგომა. არ შემიძლიან უყურადღებოთ დავტოვო ეს მოვლენა და ჩემი უღრმესი სიხარული არ გამოვთქვა. ურჩევ ჩვენს ახალ თაობას მაგალითად მიიღოს ო. ზალდასტანიშვილის საქციელი და ქვეყნიერების ყოველ კუთხეში, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ საქართველოს განმათავისუფლებელ საქმეს ემსახუროს.

მე კი მშვიდათ მივებარები უცხო მიწას, თუ უბედობამ ეს მარგუნა წილად, იმ წინდაწინი რწმენით, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები ისევე ურყევი გარდაწყვეტილებით იბრძვიან ჩვენი ეროვნული უფლებების დაცვისათვის, როგორც ჩვენს ღირსეულ წინაპრებს უბრძოლიათ. ეს მეჩვენება საწინდარათ, რომ საქართველოს კვლავ გაუთენდება მაისის ბრწყინვალე დილა და ის კვლავ აღიდგენს უხეში ძალით წართმეულ დამოუკიდებლობას.

ასეთ გულწრფელ ეროვნულ-პატრიოტულ სიტყვას, წარმოთქმულ ჩვენი დროის ემიგრანტისაგან, შეიძლება ყურადღებას არ მივაქცევდით, მაგრამ ახალგაზრდა, რომელსაც არ უგემია ჩვენი ქვეყნის სინარნარე, არ დამტკბარა მისი მშვენიერებით, არ შემიძლიან არ მივესალმო.

გამარჯვება, წინ-სვლა ჩვენს ახალ თაობას, რომელიც ჩვენთან ერთად და ჩვენს შემდეგაც გააგრძელებს სამშობლოს გამანთავისუფლებელ ბრძოლას.

მ. ჩუბინიძე.

ქართულ სათვისტომოს ცხოვრებიდან.

სეკტემბრის 10-ს, სასტუმრო რუზველტის აღმოსავლეთის დარბაზში ქართული სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 37-ტე წლისთავი.

მოხსენება წაიკითხა აწ განსვენებულმა ერ. რამიშვილმა. (მკითხველი „ქართული აზრის“ ამავე ნომერში გაეცნობა მის შინაარს). მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ გრ. აბულაძემ, რომელიც მომავალ ნომერში დაიბეჭდება.

* * *

დიდი მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ სეკტემბრის 23-ს, ნიუ-იორკში, მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოღვაწე

ერეთეოზ რამიშვილი

ღრმა თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებთ მის შვილებს, სიძეს და შვილიშვილებს.

* * *

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პარიზში (საფრანგეთი) გარდაიცვალა

თენგიზ დადეშქელიანი.

ღრმა თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს და მეგობრებს.

* * *

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
40 E. 65 Street, N.Y.C.

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.

PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.